ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა
და განათლების დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო

11/08/2026

MES 2 26 0001034010

გადაწყვეტილება

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 17 დეკემბრის №1798685 სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის შესახებ

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 29 ივლისის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 17 დეკემბრის №1798685 სხდომის ოქმში შევიდეს ცვლილება და ოქმის №07 ნაწილში, ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებაში (ბაღდათის N1 საბავშვო ბაგა-ბაღი) მონიტორინგის განხორციელების თარიღი ნაცვლად ,,არაუგვიანეს 2026 წლის 25 სექტემბრისა", განისაზღვროს ,,არაუგვიანეს 2027 წლის 29 ივლისით“.
2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 30 ივლისის № 993723 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 29 ივლისიდან.
4. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საბჭოში ან/და ქ. თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე